

COVID-19–ის საექვო შემთხვევების ბინაზე მართვის ინსტრუქცია

1. რესპირაციული, ან სხვა სიმპტომების მქონე:

- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბენეფიციარი უნდა დაუკავშირდეს:
  - საკუთარ ოჯახის ექიმს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიის მიმწოდებელ დაწესებულებას (შემდგომში - კლინიკა).
- სადაზღვევო სქემაში ჩართული პირი უნდა დაუკავშირდეს:
  - სადაზღვევო კომპანიას/ სადაზღვევო კომპანიის ოჯახის ექიმს (შემდგომში კლინიკა).
- პირი, რომელიც არის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბენეფიციარი, მაგრამ არ არის რეგისტრირებული არცერთ პჯ დაწესებულებაში უნდა დაუკავშირდეს:
  - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელ ხაზს (1505);
  - 112-ში ზარის განხორციელების შემთხვევაში, 112 გადაამისამართებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე (1505).
- პირი, რომელიც არ არის არც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბენეფიციარი და არც კერძო სადაზღვევო სქემაში ჩართული უნდა დაუკავშირდეს:
  - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელ ხაზს (1505);
  - 112-ში ზარის განხორციელების შემთხვევაში, 112 გადაამისამართებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე (1505).

2. თუ რესპირაციული ან სხვა სიმპტომების მქონე პაციენტმა არ იცის ოჯახის ექიმის/სამედიცინო დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაცია, უნდა დაუკავშირდეს:

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელ ხაზს (1505);
- მოიძიოს ინფორმაცია პორტალზე: <http://ambulatoria.moh.gov.ge/> .

**3. კლინიკა უზრუნველყოფს სიმპტომიანი პაციენტების მართვას:**

- ყოველდღიურ რეჟიმში, 18 სთ -მდე;
- არასამუშაო საათებში პაციენტის მიერ განხორციელებულ ზარს უპასუხებს მორიგე რეგისტრატორი/ოპერატორი, ან ჩაიწერს ავტომოპასუხე, ხოლო ექიმის მიერ მეთვალყურეობა განხორციელდება მეორე დღეს.

**4. კლინიკა ვალდებულია:**

- სატელეფონო კონსულტაცია განახორციელოს დღის განმავლობაში, იმ დღეს და წინა დღის 6 სთ-დან დილამდე ავტომოპასუხეზე შემოსულ ზარებზე;
- სატელეფონო კონსულტაცია განახორციელოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრული პროტოკოლის მიხედვით;
- ყველა სატელეფონო კონსულტაციის დროს ხაზგასმით აღინიშნოს თვითიზოლაციის წესების მკაცრი დაცვისა და სახლში დარჩენის აუცილებლობა;
- ყველა სატელეფონო კონსულტაციის შემდეგ ინფორმაცია ასახოს სამედიცინო დოკუმენტაციაში (ამბულატორიული ბარათი). სამედიცინო დოკუმენტაციაში უნდა აისახოს ასევე, კონსულტაციის რომელიმე ეტაპზე ექიმის გადაწყვეტილება, რომ პაციენტი აღარ საჭიროებს მეთვალყურეობას;
- თუ სატელეფონო კომუნიკაციის შეთხვევაში გამოიკვეთება სასწრაფო გადაუდებელი დახმარების ბრიგადის ჩართულობის საჭიროება, სატელეფონო ზარის საშუალებით შეატყობინოს 112-ის ოპერატორს (ოჯახის ექიმებისთვის სპეციალურად გამოყოფილ ნომერზე) პაციენტის სახელი, გვარი, მისამართი და ასევე, სასწრაფო გადაუდებელი დახმარების ბრიგადის საჭიროების მიზეზი, რომლის საფუძველზე 112 უზრუნველყოფს სასწრაფო გადაუდებელი დახმარების ბრიგადის ჩართულობას;
- სატელეფონო კონსულტაციის უმთავრესი მიზანია, ყველა მოქალაქემ მიიღოს კვალიფიციური სამედიცინო კონსულტაცია და იგრძნოს სახელმწიფოს მაქსიმალური მზრუნველობა მათ ჯანმრთელობაზე.

**5. თუ ოჯახის ექიმის გადაწყვეტილებით, პაციენტს ესაჭიროება COVID-19-ზე სპეციფიკური ტესტირება:**

- ნაცხის ამღები ონლაინ კონსულტაციებში ჩართული დაწესებულება/ექიმი გეგმავს ტესტირების ჩატარებას, მართავს რიგს;
- სხვა პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების (მათ შორის, სადაზღვევო კომპანიის სახელმწიფო ურთიერთობაში მყოფი სამედიცინო დაწესებულებები) და ცენტრალური ონლაინ კლინიკის ოჯახის ექიმები ტესტირებისთვის პაციენტებს აგზავნიან საკვლევი მასალის ამღებ სამედიცინო დაწესებულებებში, ამ მიზნით:

- პირველადი ჯანდაცვის დაწესებულება (მათ შორის, სადაზღვევო კომპანიის სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი სამედიცინო დაწესებულებები) და ცენტრალური ონლაინ კლინიკა აფორმებს ხელშეკრულებას/შეთანხმებას საკვლევი მასალის ამღებ სამედიცინო დაწესებულებებთან;
- პირველადი ჯანდაცვის დაწესებულება (მათ შორის, სადაზღვევო კომპანიის სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი სამედიცინო დაწესებულებები) და ცენტრალური ონლაინ კლინიკა ნაცხის ამღებ სამედიცინო დაწესებულებას დღის ბოლოს ელექტრონული ფორმით აწვდის ინფორმაციას იმ პაციენტების შესახებ, რომლებიც, საჭიროებენ ტესტირებას. ნაცხის ამღები სამედიცინო დაწესებულება, თავის მხრივ უკავშირდება პაციენტს და არეგულირებს რიგს;
- განსაკუთრებულ შემთხვევაში, შესაძლებელია მყისიერი კომუნიკაცია ნაცხის ამღებ სამედიცინო დაწესებულებასთან და პაციენტის ტესტირების ჩატარება.

**6. თუ კოვიდ-კლინიკიდან ან კოვიდ-სასტუმროდან ბინაზე ეწერება პაციენტი „გამოჯანმრთლებულის სტატუსით“, რომელსაც ესაჭიროება ბინაზე მეთვალყურეობა:**

- კოვიდ-კლინიკა ან კოვიდ-სასტუმრო ვალდებულია, პაციენტისთვის გადასაცემ სამედიცინო დოკუმენტაციაში, რომელიც პაციენტის მიერ გადაეცემა კლინიკას, მიუთითოს პაციენტზე მეთვალყურეობის აუცილებლობა.